პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 2 (13998) | ოთხშაბათი, 3 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

დამთავრდა საიუბილეო წლის ვახტი. ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მშრომელებმა იგი მაღალი მაჩვენებლებით ტალინშეს. მაგრამ შრომითი ენთუზიაზმი არ შენელებულა, ეხტაფეტად გადაეცა ახალ — 1968 წელს.

ჩაიარა ხუთწლედის მესამე წლის პირველმა შრომითმა დღემ. ამ ხურათებზე თქვენ ხედავთ იმ ადამიანებს, რომლებმაც წარმატებით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელიწადი.

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი თინათინ არაბული (ზედა ხურათზე) მოწინავე მუშაა, სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს და მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს. თავის პროფესიას კარგად არის დაუფლებული თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ზინკალი შოთა ჭავახიშვილი (შუა სურათზე), მისი დღიური დავალების შესრულების მაჩვენებელი 130-150 პროცენტია.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უნიკალური ელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობენ გამოჩენილი პ. ხერგიანი (მარცხნივ) და ელექტრიკოსი ხ. ხამადაშვილი (ქვედა სურათზე). ისინიც თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან.

ხუთწლედი — ვადამდე! ამ დევიზით ალინიშნა ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა მშრომელების ახალი წლის პირველი შრომითი დღე.

ფოტო შ. ჩხეტიანის და გ. გოგობიანი.

რწმენა და ოპტიმიზმი

ПРАВДА

2 იანვრის მოწინავე

ათას ცხრაას სამოცდაცამეტ წლის პირველი შრომითი დილა... მზნედ და შემოქმედებითი აღმავლობით იწყებს ამ სამუშაო დღეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი.

კეთილი სიტყვით გაიცალეს რა ათას ცხრაას სამოცდაშვიდი, საიუბილეო წელი, რომელიც სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში როგორც საბჭოთა ხელისუფლების მეორე ორმოცდაათწლეულის დასაწყისი, ჩვენი ქვეყნის მშრომელები სიხარულით, მხიარულად შეეგებენენ ახალ წელს. იგი ჩვენს წინაშე სახავს ახალ ნათელ ჰორიზონტებს, სოციალისტური სამშობლოს მთელი მატერიალური და სულიერი ძალების შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს წელი ახალ წარმატებებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას, დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება გზაზე, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა. შთამაგონებელ გზის დალოცვად გაიხმა ქალაქებისა და სოფლების მშრომელებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხისადმი.

რწმენა და ოპტიმიზმი ორგანულად დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანებისათვის. ამ თვისებებს, ისევე როგორც მისი სულიერი სახის ყველა სხვა საუკეთესო თვისებას, ავითარებს და აყალიბებს თვითონ ცხოვრების სოციალისტური წესი, დაუცხრომლად ავითარებს კომუნისტური პარტია. მისი იდეოლოგია, მთელი ჩვენი საზოგადოების იდეოლოგია, გამსჭვალულია რევოლუციური ოპტიმიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა ადამიანები გაბედულად, გულდაჯერებით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, იმიტომ რომ მათ აღფრთოვანებს და შთაგონებს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი იდეები, იმიტომ რომ ისინი წლითწლობით სულ უფრო მეტად გრძნობენ სოციალიზმის მძლავრ ძალებსა და უპირატესობებს.

ეყრდნობა რა ამ უპირატესობებს, ჩვენი ხალხი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გულდაჯერებით ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, თავდადებული შრომით ახორციელებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას. ხუთწლედის უკვე დამდგარი მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას ბევრად განსაზღვრავს მისი ვადამდე შესრულება მთლიანად, იხსოვსაც ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელი იბრძვის.

ჩვენმა გმირმა მუშათა კლასმა, რომელიც ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ინიციატორი და მედროშეა, გააჩაღა შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1970 წლის 7. ნოემბერს ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის. მრეწველობის მუშაკებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ და შეუპოვრად იშრომონ, რათა მოახდინონ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მთელი რეზერვების მობილიზაცია. 1968 წელს თითქმის ყველა საწარმო იმუშავებს მეურნეობის გაძლოლის ახალი პრინციპების საფუძველზე. სოციალისტური ინდუსტრიის მშრომელებმა უნდა აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, კიდევ უფრო გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. ეს არის მუშათა კლასის, როგორც ახალი საზოგადოების წამყვანი შემოქმედებითი ძალის მთავარი ამოცანა.

ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა — მუშათა კლასის ერთგული მოკავშირე ახალ წელს იწყებს აგრეთვე დიდი შთანაფიქრებითა და გეგმებით. მას აღფრთოვანებს კომუნისტური პარტიის ზრუნვა და ყურადღება, რომელიც არაფერს იშურებს, რომ სოფლის მეურნეობამ მთლიანად დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებანი, მხარს უსწორებდეს სოციალისტურ ინდუსტრიას შრომის ნაყოფიერებაში, ტექნიკურ აღჭურვილობაში, მეცნიერების მიღწევების გამოყენების დონით. ამ ბოლო წლების განმავლობაში დამაჯერებლად ცხადყო, რომ გვაქვს რეალური შესაძლებლობანი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მივაღწიოთ ზრდის მაღალ და მყარ ტემპებს. ახალი ტემპების მიღწევა, მიმდინარე წლის უსვი მოსავლის უზრუნველყოფა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების პატრიოტული მოვალეობაა.

ჩვენი ინტელიგენცია მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად აღსავსეა კეთილშობილური მისწრაფებით ამრავლოს თავისი წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში. საბჭოთა საზოგადოების განვითარების პროცესში იქმნება სულ უფრო ხელსაყრელი პირობები მისი ცოდნის, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის. ჩვენი ქვეყნის მომავალი დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, და საბჭოთა მეცნიერები, უეჭველია, ყოველ ღონეს იხმარენ მისი დაჩქარებისათვის. ჩვენი გეგმები ითვალისწინებენ კულტურული ცხოვრების ყველა დარგის შემდგომ განვითარებას, სახალხო განათლების მთელი სისტემის სრულყოფას. ხალხი და პარტია ინტელიგენციისაგან ახალ წელს მოელიან ახალ მიღწევებს სოციალიზმის სულიერი საგანძურის გამდიდრებაში.

სოციალისტური საზოგადოების ყველა მშრომელს, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხს, რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო ინტერესებითა და საერთო მიზნებით ერთსულოვან ძმურ ოჯახად, დიდი და სახელოვანი საქმეები აქვთ გადასაწყვეტი. პარტია საბჭოთა ხალხის ენერგიასა და გონებას წარმართავს კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ყოველი ღონისძიებით განსამტიცებლად და საზოგადოებრივი დოვლათის გასადიდებლად ადამიანის კეთილდღეობისათვის, ადამიანისათვის.

ხალხის ცხოვრების დონის ზრდის მნიშვნელოვანი დაჩქარება 1968 წლის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა. ცნობილია, რომ იანვრიდან იწყება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ახალ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება. როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ პარტიის დოკუმენტებშია აღნიშნული, ეროვნული შემოსავლის ზრდის კვალობაზე ჩვენში კვლავაც განუხრელად გაიზრდება მშრომელთა ხელფასი, გადიდდება მოხმარების ხაგნების წარმოება, დიდი ოდენობით ვაჭრობით საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, რათა გავაუმჯობესოთ თვითეული საბჭოთა ოჯახის ყოფა და ცხოვრების პირობები. რაც უფრო მდიდარი და ძლიერი იქნება საბჭოთა ქვეყანა, მით უფრო კარგი იქნება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, მისი სულიერი ცხოვრება.

ახალი, 1968 წელი ძალაში შევიდა. საბჭოთა ხალხი ახალ წელს, ისევე როგორც კომუნისტური მშენებლობის ყოველ წელს უკავშირებს საუკეთესო იმედებს, ოცნებასა და მისწრაფებას. მხურვალედ, სულითა და გულით ვესწრაფვით მშვიდობას და სოციალურ პროგრესს დედამიწაზე. არაფერს არ ვიშურებდით და არ ვიშურებთ მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ძალების გამარჯვებისათვის იმპერიალისტური რეაქციისა და ომის ძალებზე.

ღრმად ვართ დარწმუნებული ჩვენი დიადი საქმის სიმართლისა და უძლეველობაში, კარგად ვიცით, რომ ღრო ჩვენ გვიწყობს ხელს, რომ მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის. წინსვლის გზას გვიჩვენებს ხიმდგო კომპასი — მარქსიზმ-ლენინიზმი. ამ გზით საბჭოთა ხალხს გულდაჯერებით მიუძღვის ნაცადი პოლიტიკური ხელადი და ორგანიზატორი ლენინის პარტია. ეს არის ჩვენი ახალი გამარჯვებების წყარო და საწინდარი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავებისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

ახალ წელს — ახალი წარმატებები!

უფრო მეტი შემართებით

წლის პირველი წერილები

1967 წელი კარგად გავაცილეთ. მარტენის საამქროს მეოთხე ღუმელის იმ ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ფოლადი გამოადნო და კიდევაც მიიღო სათანადო შეფასება. ღუმელს მიენიჭა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საპატიო სახელი, ხოლო მე დამჯილდოვეს „საუკეთესო მეფოლადის“ ვიმპელით.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ ჩემმა ერთ-ერთმა თანამოსაქმემ ზ. ყველაშვილმა შარშან, წლის ბოლოს, მონაწილეობა მიიღო მეასმლიონე ტონა ფოლადის გამოდნობაში.

ახალ წელს ახალი ენერგიითა და ახალი წარმატებებით შევხვდით. პირველ და ორ იანვარს ყველა მეფოლადემ წარმატებით იმუშავა და უკვე გახსნა ზეგეგმითი პროდუქციის პირველი ტონების ანგარიში. ჩქაროსნული მეთოდით წარვმართეთ დნობა ჩვენც — მესამე ბრიგადის წევრებმა.

ახალი წლის პირველი წარმატების შესახებ ვაცნობე ჩემს სუმგაითელ კოლეგას, ცნობილ მეფოლადეს ჯ. მუსტაფაევს. მასთან მე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს.

მოკლედ 1968 წლის გეგმების შესახებ. ცხადია, მიღწეულ წარმატებებზე შეჩერებას არ ვაპირებთ. ფოლადის დნობის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით კიდევ უფრო მეტ წვლილს შევიტანთ მიმდინარე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში. ბრიგადის წლიურ დავალებას გავანაღდებთ 25 დეკემბრისათვის.

გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი გამოცდილება ფართოდ გავაცნოთ მეზობელი ღუმელების მეფოლადეებს, აგრეთვე გადმოვიტანოთ მათგან ყოველი ახალი, მოწინავე, პროგრესული.

ი. ნადირაშვილი,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მე-4 ღუმელის მეფოლადეთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ზრდომითი ნობათები

საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. უნგიაძემ, რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. რეხვიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კაკალაშვილმა გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ ლაგოდეხელი მშრომელები ახალ წელს ახალი გამარჯვებით შეხვდნენ. გასული წლის 29 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.252 ტონა თამბაქო ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.250 ტონისა.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ალვანის კოლმეურნეობა „საქართველომ“, ბაისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლამ“, ნინიგორის კოლმეურნეობა „დრუჟბამ“, ლელიანების ენგელსის სახელობის, განჯალის კროვის სახელობის, ფონის „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებმა და შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“.

ლაგოდეხელები მიღწეულს არ სჯერდებიან. მათ გადაწყვიტეს სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ 200 ტონამდე თამბაქო.

საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ნამსაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. უულიევმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ტ. კპარაძემ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა 1967 წლის 31 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 4.260 ტონა თამბაქო ნაცვლად 4.255 ტონისა.

მარნეულის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 15.390 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 15.240 ცენტნერისა 46.902 ცენტნერი რძე, ნაცვლად 46.880 ცენტნერისა. შესრულდა ხილისა და ტაკვენდლეულის დამზადების გეგმები.

ახალი წლის პირველი შრომითი დღე

დაბურუ ხუთწლედის მესამე წელი. კარგი მაჩვენებლებით აღნიშნეს ახალი წლის პირველი შრომითი დღე თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მშრომელებმა. როგორც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კომბინატის დირექტორმა მ. ბაბუნაშვილმა აცნობა, დღიური დავალება საწარმომ 104 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამომშვებულია 500 მეტრი მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილი.

ხუთწლედის მესამე წლის პირველ დღეს შრომაში თავი ისახელა კომბინატის ხაჩერ-სავარცხლის საამქრომ, რომელსაც დ. ნოსაძე ხელმძღვანელობს.

დღიური დავალება 115-120 პროცენტით გაანაღდეს მრთველმა ვ. გომიაშვილმა, მჭსოველმა ტ. კარტაუსმა, ქსოვილის გამომყვანმა გ. თუშიშვილმა და სხვებმა.

მაღალი ჯილდო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 2 იანვრის ბრძანებულებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ივანეს ივანეს-ძე ბოდიული დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. (საკდესი).

ალბომი საბჭოთა ქვეყნის ელექტროენერგეტიკის შესახებ

მოსკოვი, 2 იანვარი. (საკდესი). ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად 10 მილიონი კილოვატით იზრდება ენერგეტიკული სიმძლავრე. ეს თითქმის 6 გოელროს გეგმაა, რომელიც 15 წლისთვის იყო გაანგარიშებული!

დონბასში სლავიანსკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში დადგმულია 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკი. იგი ევროპაში ყველაზე მძლავრია!

ეს ციფრები ამოღებულია ალბომიდან „სსრ კავშირის ელექტრიფიკაცია“, რომელიც სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ მოამზადა და დღეს გამოუშვა გამომცემლობა „ნაუკამ“.

ალბომის მასალები მკაფიოდ ასახავენ განვლილ ნახევარ საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის ძლევამოსილ წინსვლას. მის ფურცლებზე ასახულია, თუ სად არის განლაგებული მოქმედი და მშენებარე დიდი ელექტროსადგურები, როგორია თმო — და ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის, სახალხო მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრებაში ელექტროენერგიის გამოყენების მაჩვენებლები.

უურადღებას იპყრობს სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებულ ენერგოსისტემათა სქემა „მირი“ და იმ ელექტროსადგურების რუკა, რომლებიც საბჭოთა ენერგეტიკოსების დახმარებით შენდება სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებში.

ალბომი „სსრ კავშირის ელექტრიფიკაცია“ — სასარგებლო დამხმარე სახელმძღვანელოა იმათთვის, ვისაც აინტერესებს ელექტროენერგეტიკის განვითარება. ეს შესანიშნავი მოთხრობაა იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ლენინური იდეები ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციის შესახებ.

ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის ვიეტნამისათვის მხარდაჭერის კომიტეტმა მიმართეს აზია-აფრიკის მოძრაობის სოლიდარობის ყველა ეროვნულ ორგანიზაციასა და ვიეტნამისათვის მხარდაჭერის კომიტეტს. მათ ამ ორგანიზაციებსა და მთელ მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ ძალებს მოუწოდეს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ მასობრივი საპროტესტო კამპანია ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, გაადიდონ სახსრების შეგროვება ვიეტნამელი პატრიოტებისათვის დახმარების ფონდში, წინააღმდეგნენ ჯარების გადაყვანისა და ინარაღის გადაზიდვის აგრესორებისათვის.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში მეტად სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, ომის მოტრფიალე იმპერიალისტური რეაქცია თავხედურად აბუნად იგდებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მებრძოლ ხალხებს, ეწინააღმდეგება ეროვნული-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მთელ თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობას. გადაბუგული ქალაქები და სოფლები, დანგრეული ფაბრიკები, ქარხნები, გზები, სკოლები და საავადმყოფოები, ასეულ ათასობით დახოცილი და დაჭრილი — ასეთია ამ ბინძური ომის სისხლიანი შედეგები.

საბჭოთა ხალხი გადაჭრით აცხადებს, რომ სოლიდარობას უწევს ვიეტნამელ ხალხს და მოითხოვს დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ შეწყდეს ვიეტნამის დაბომბვა და ყველა აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა სატელიტებმა სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანონ ჯარები, ცნონ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი, როგორც სამხრეთვიეტნამელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც განუხრელი უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

(საკდესი).

მოლდავეთის რესპუბლიკა

ბანგი, 2 იანვარი. (საკდესი). „სამშობლოს ორდენი ბრწყინავს უძლეველ დროშაზე“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დღეს მოწინავე სტატია გაზეთმა „ეუან ფიი ნიან ზანმა“.

„იმედებით აღსავსე 1968 წლის დამდეგს, — ნათქვამია „მოწინავეში,— მთელი ჩვენი არმია და მთელი ჩვენი ხალხი აღფრთოვანა ამბავმა, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სამშობლოს ორდენით დაჯილდოვა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები და სხვა საპატიო ჯილდოები უნდა გადასცეს იმ რაიონებსა და ოლქებს, რომლებმაც მოიპოვეს განსაკუთრებული წარმატებანი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, სამშობლო ხსნისათვის ბრძოლაში“.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ იწყება შეერთებული შტატებისადმი წინააღმდეგობის, სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლის „გადამწყვეტი ფაზა“.

მრავალი ღრუბელი

ბანგი, 2 იანვარი. (საკდესი). „სამშობლოს ორდენი ბრწყინავს უძლეველ დროშაზე“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დღეს მოწინავე სტატია „ეუან ფიი ნიან ზანმა“.

„იმედებით აღსავსე 1968 წლის დამდეგს, — ნათქვამია „მოწინავეში,— მთელი ჩვენი არმია და მთელი ჩვენი ხალხი აღფრთოვანა ამბავმა, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სამშობლოს ორდენით დაჯილდოვა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები და სხვა საპატიო ჯილდოები უნდა გადასცეს იმ რაიონებსა და ოლქებს, რომლებმაც მოიპოვეს განსაკუთრებული წარმატებანი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, სამშობლო ხსნისათვის ბრძოლაში“.

მდგომარეობა იემენში

ჯოდეიდა, 2 იანვარი. (საკდესი). სულ უფრო მწვავდება ვითარება იემენის დედაქალაქ სანაში რაიონში. მონარქისტები და მეამბოხე ტომები, რომლებიც გამაგრდნენ ქალაქის ახლომახლო მთებში, სულ უფრო ძლიერ საარტილერიო ცეცხლს უშენენ საცხოვრებელ უბნებს, ავრეთვე რაბაბის აეროდრომს. მათი ცდები შეიპრნენ დედაქალაქში, აწყდება რესპუბლიკური ჯარებისა და სახალხო ლაშქრის წინააღმდეგობას.

მოწინააღმდეგემ გადაკრა გზები, რომლებიც სანას აკავშირებენ წითელი ზღვის სანაპიროსთან, იემენის ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონებთან. ამან დედაქალაქში გამოიწვია სურსათის ნაკლებობა და გაძნელდა მოსახლეობის მომარაგება პირველი საჭიროების საქონლით. რესპუბლიკის ხელისუფალნი ახორციელებენ ენერგიულ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ მოსახლეობა საქონლით.

ეშნევა, 2 იანვარი. (საკდესი). წითელ ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოუწოდა იემენში მებრძოლ მხარეებს დაიცვან საერთაშორისო კონვენციები და სამოქალაქო მოსახლეობას თავიდან აიცილონ ომის მძიმე განსაცდელი.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ სანის რაიონში მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაში არის ბევრი მსხვერპლი. ომის შედეგად, რომ არტილერია ცეცხლს უშენს საცხოვრებელ უბნებს, დიდი ნგრევაა და აღუპეზიან ქალები და ბავშვები.

ალბომი საბჭოთა ქვეყნის ელექტროენერგეტიკის შესახებ

ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს

გეგმა შესრულებულია

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

შავი მეტალურგიის მუშაკებმა შეასრულეს თუჯისა და ფოლადის გამოდნობის და ფოლადის მილების წარმოების წლიური გეგმა.

შარშანდელთან შედარებით თუჯის გამოდნობა გადიდდა 4,5 მილიონი ტონით, ფოლადისა — 5 მილიონი ტონით, ფოლადის მილების წარმოება — ნახევარი მილიონი ტონით და მეტად.

ყოველი მხრიდან

2 იანვრის უცხოეთის პრესაში

საზღვარგარეთის გაზეთების ფურცლებზე მოთავსებული ბევრი მასალა ასახავს, თუ როგორ შეხვდა ხალხი ახალ 1968 წელს სხვადასხვა ეკონომიურ გარემოებით განგრძობენ პრეზიდენტ დე გოლის საახალწლო გამოსვლის კომენტირებას. როგორც „ფიგაროსა“ და „ორორს“ მიაჩნიათ, ამ სიტყვაში მთავარი იყო მოწოდება, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს ვიეტნამისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემები. პრესის მთელი რიგი ორგანოები ყურადღებას უთმობენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ნგუენ ზუი ჩინის 30 დეკემბრის განცხადებას. ლონდონის „ტაიმსს“ მიაჩნია, რომ ამ განცხადებაში კვლავ მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიცია ამერიკის შეერთებულ შტატებთან რამე კონტაქტების მიმართ“.

დასავლეთის პრესა იხილავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის პრეს-კონფერენციას, რომელზეც დასახული იყო ღონისძიებანი — „შეადარონ“ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საგადამხდელო ბალანსის ჯეფიციტი, რომელიც მკვეთრად გადიდდა 1967 წელს. ამერიკის გაზეთებში ბაზს უსვამენ, რომ პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა „მკაცრი კონტროლი“ დაუწესონ საზღვარგარეთ ამერიკის კაპიტალ-დაბანდებას და შეზღუდონ ტურისტთა ნაკადი ამერიკიდან. გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ჯონსონს „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი“ გააღიდებინოს კონგრესს გადასახადები. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკის ფინანსური წრეები „კრიტიკულად მოკიდნენ“ პრეზიდენტის წინადადებებს. ამერიკელ ბიზნესმენებს, აღნიშნავს გაზეთი, ეს წინადადებანი „იმის ცდად მიაჩნიათ, რომ მთავრობამ პირდაპირი კონტროლი დაუწესოს კერძო კაპიტალის ინვესტიციებს“.

ლონდონის „დეილი ტელეგრაფს“ მიაჩნია, რომ „სახსრების ეკონომიას, რასაც პრეზიდენტი ჯონსონი მოუწოდებდა, შეერთებული შტატები განახორციელებენ ვირეტნამ სტერლინგის ხარჯზე“. დასავლეთ გერმანიის გაზეთი „გენერალ-ანცეიგერი“ აღნიშნავს, რომ „ამერიკის მთავრობის ღონისძიებანი შეიცავ გერმანიის ფედერაციისა“. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ „ამერიკის ბიზნესმენები, ეს ეკონომიკური ექსპერტები, ეს ფინანსური საკითხებზე“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ პროფკავშირის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგად ნიუ-იორკის სატრანსპორტო კომპანიების მფლობელებმა შეძლეს თავიდან აეცილებინათ მეტრანსპორტელთა გაფიცვა.

ბულგარეთის „რაბოტნიჩესკო დელო“ კლავ ბიჭოვს გამოხმაურებებს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების გამო ბულგარეთის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

(საკდესი).

პარიზელები გვინეაში

დაკარი, 2 იანვარი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქ კონაკრიში მოვიდა ცნობები პრეზიდენტის არჩევნების პირველი შედეგების შესახებ. არჩევნები გუშინ გაიმართა. როგორც კონაკრის რადიომ „რევოლუციის ხმამ“ უკანასკნელი ცნობების საღამოს გამოშვებაში გადმოსცა, გვინეის მოქალაქენი ერთსულოვნად აძლევენ ხმას რესპუბლიკის პრეზიდენტის აპმედ სეკუტურს კანდიდატურას.

ამავე დროს რესპუბლიკაში გაიმართა გვინეის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — ეროვნული კრების არჩევნები. გვინეის ბევრ რაიონში გვინეის დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა — ეროვნული პარტიისა, რომელმაც კვინის საყოველდაო წარდგინა სიები, — როგორც კონაკრის რადიომ გადმოსცა, მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 100 პროცენტი.

ფრანგ რკინიგზელთა პროტესტი

პარიზი, 2 იანვარი. (საკდესი). რკინიგზელთა ფედერაცია, რომელიც შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შედის, პროტესტს აცხადებს იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ 5 ათასი კილომეტრით შემცირდეს საფრანგეთის რკინიგზის სიგრძე.

ჩვენი მკითხველები გვთავაზობენ!

ხუთწლედის ადამიანები

„კომუნისტის“ მკითხველებს

ძვირფასო ამხანაგებო! სულ რაღაც ორიოდე დღის წინათ გავაცილეთ 1967 წელი, რომელმაც მრავალი სიხარული, ბედნიერი დღე მოუტანა ჩვენს ხალხს, კომუნიზმის შემოქმედ საბჭოთა ადამიანებს. მშვიდი და მზიანი ამინდით დაიწყო ახალი წელი, ახალი შემოქმედებითი შემართების წელი. „კომუნისტის“ რედაქციაში მოვიდა ახალი ფოსტა, ჟურნალში ჩაიწერა ჩვენი გაზეთის 1968 წლის ავტორთა პირველი გვარები, გაჩნდა ახალი საგაზეთო თემები, მივიღეთ პირველი ათეულობით წერილი, კორესპონდენცია, ლექსი, მოთხრობა, შეკითხვა.

კარგი ტრადიციის მიხედვით, ჩვენს რედაქციას სურს თქვენთან ერთად თვალი გადაავლოს განვლილ გზას და შემოგთავაზოთ ჩვენი გაზეთისა და მკითხველის გულითადი მეგობრობის, ყოველდღიური კავშირის დამახასიათებელი ციფრები და ფაქტები:

1967 წლის სარედაქციო ჟურნალში ყველაზე ბოლო ციფრი — 41.143 დასმული აქვს სახელოვანი ქართველი მწერლის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის გრიგოლ აბაშიძის გვარს. მისი სასანაღლო წერილი „შემოქმედების მძლავრი ფრთებით“ „კომუნისტის“ პირველი იანვრის ნომერში დაიბეჭდა, ხოლო 1968 წლის ჟურნალში პირველი ნომრით გატარდა რუსთაველი მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადის ი. ნადირაშვილის წერილი, რომელიც დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

ამრიგად, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ 1967 წელს თქვენგან, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, 41.143 წერილი, კორესპონდენცია, ლექსი, მოთხრობა, განცხადება, შეკითხვა და სხვა საბაზეთო მასალა მიიღო, მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე 1966 წელს.

იმის ნათელსაყოფად, თუ უკანასკნელ სამ წელიწადში როგორ გაიზარდა ჩვენი გაზეთისა და მკითხველების კავშირი, მოგაწვდით ასეთ ფაქტს.

1961 წელს „კომუნისტმა“ მიიღო 13.711 წერილი, 1962 წელს — 20.953, 1963 წელს — 21.261, 1964 წელს — 24.597, 1965 წელს — 33.901, 1966 წელს — 37.318, ხოლო 1967 წელს — 41.143.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, გაზეთში აქტიური თანამშრომლობისათვის. იმედი გვაქვს კიდევ უფრო გაიზრდება თქვენი წერილების ნაკადი, კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება ჩვენი რედაქციისა და თქვენი ურთიერთ კავშირი.

ველით თქვენგან ახალ წერილებს ჩვენი ცხოვრების საინტერესო, საჭირბოროტო საკითხებზე.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს შემოქმედებითს შრომაში.

„კომუნისტის“ რედაქცია

ინქინრის ნარმატება

გაზი ფართოდ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში და მასზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება.

გაზის მეურნეობის ერთ-ერთ რთულ პროცესს ამჟამად წარმოადგენს მოქმედ გაზსადენებთან ახალი განშტოებების მიერთება. ჩვეულებრივ ასეთი სამუშაოების შესრულების დროს გარკვეული უბნები და რაიონები გაზმომარაგების წყაროებიდან ითიშება ხოლმე. ბუნებრივია, ამ დროს რამდენიმე საათით წყდება გაზის მიწოდება სამრეწველო საწარმოებისა და მოსახლეობისათვის, რაც დიდ მატერიალურ ზარალს გარდა იწვევს უბედური შემთხვევების შესაძლებლობას.

ეს პრობლემა დიდი ხანია აწუხებს გაზიფიკატორებს. იყო კიდეც ცდები ისეთი ხელსაწყოს შექმნისა, რომელიც მოქმედ გაზსადენებთან წნევის დაუწევლად განშტოებათა მიერთების საშუალებას მოგვცემდა.

1966 წლის ბოლოს „თბილგაზის“ სამმართველოს მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენების ანტორის უფროსმა **ნუგზარ მზეიძემ** შექმნა ორიგინალური ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მოქმედ გაზსადენებთან ახალი განშტოებების მიერთება წნევის დაუწევლად. ამასთან, მის წინამორბედთაგან განსხვავებით, ხელსაწყოს კონსტრუქცია თავიდან წყნებს „ყვავ“ დეტალისა და ძვნის მრავალჯერ გამოყენებას, რაც ბევრად ამცირებს მიერთების სამუშაოთა ღირებულებას. ხელსაწყომ გაიარა საჭირო საექსპლოატაციო გამოცდა, რომლის დროსაც წარმატებით იქნა მიერთებული მოქმედ გაზსადენებთან მრავალი ათეული განშტოება.

ნ. მზეიძის მიერ შექმნილი ხელსაწყო მოიწონა და მიიღო რსფსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კომისიამ. მისივე რეკომენდაციით ხელსაწყოს კომპლექტი, რომელიც დაამზადა საქართველოს სსრ გზაფიკაციის მთავარი სამმართველოს ექსპერიმენტულმა სახელოსნომ (დირექტორი ი. გამყრელიძე), 1967 წელს მიღებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საუნივერსალო გამოფენაზე „სანტარული ტექნიკის“ პავილიონში დემონსტრირებისათვის.

ამას წინათ „თბილგაზის“ სამმართველოს მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენების ანტორის სახელზე მოვიდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საუნივერსალო გამოფენის დიპლომი, რომლითაც აღინიშნა ნ. მზეიძის ხელსაწყო. თვით ავტორი დამტკიცებულია საუნივერსალო გამოფენის მონაწილედ. რსფსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალურმა ბიურომ პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელების მიზნით დიდი ტირაჟით გამოსცა ხელსაწყოს კარგად ილუსტრირებული აღწერილობა.

„თბილგაზის“ სამმართველოს სახელზე მოსულია მრავალი მოთხოვნა (კიევიდან, მინსკიდან, კრასნოდარიდან, ბათუმიდან და სხვ.) მათ მეურნეობაში ახალგაზრდა ინჟინრის მიერ შექმნილი ხელსაწყოს დანერგვაზე. ამასთან კიეველები ვარაუდობენ უკრაინის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ ქარხანაში შეუდგნენ ხელსაწყოს სერიულ წარმოებას.

თ. მურჯიკნელი,

„თბილგაზის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე.

* * *

სურათზე: ინჟინერი ნ. მზეიძე.

ჩვეულ ენთუზიაზმით

ივანე ადუაშვილის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის წევრთათვის ოქტომბრის წინასადღესასწაულო დღეები განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო. ბრიგადამ საოქტომბროდ გაზრდილი ვალდებულებანი იკისრა და სიტყვა საქმედ აქცია. აღებულ ვალდებულებათა ყოველი პუნქტი დიდი გადაკეთებებით შეასრულა, გეგმის ზევით ხუთი სიჩქარის კოლოფი აწყო და თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს.

თოთხმეტი წლის წინათ მოვიდა ი. ადუაშვილი ქიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. აქ დაეუფლა იგი ამწყობი ზეინკლის პროფესიას. № 3 საამწყობო საამქრო, სადაც ი. ადუაშვილის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა შრომობს, ყველაზე რთული და პასუხსაგები უბანია. ძირითადად აქ ხდება საექსპორტოდ განკუთვნილი ჩარხების აწყობა-დამონტაჟები.

სიჩქარის კოლოფების აწყობის დროს დაშვებული სულ მცირე უხუსტობაც კი საკალაოა, რაც შემდეგში პროდუქციის ხარისხზე იქონიებს გავლენას. ყოველივე ეს კარგად აქვთ შეგნებული ი. ადუაშვილის ბრიგადის წევრებს: ნ. გიგაურს, კ. ნაბაბტეველს, ა. სილაქაძეს, ჯ. ჯარშველს. ბრიგადა საუბრობოო დავალებას ყოველთვიურად დიდი გადაჭარბებით 110-115 პროცენტით ასრულებს.

ი. ადუაშვილი თავის გამოცდილებას დაუზარებლად უზიარებს სხვებსაც. სწორედ ივანეს უმადლეს თავის წარმატებებს გ. თანაიშვილი, რომელიც მოკლე ხანში ჩასწვდა საექსპორტო ჩარხების სიჩქარის კოლოფების აწყობის ყველა საიდუმლოებას. დღეს იგი გამოცდილი ამწყობი ზეინკალია.

სიჩქარის კოლოფების აწყობისას ხშირი იყო შემთხვევა, როცა ლილვის ჩადების დროს იგი კორპუსის კედელს ედებოდა და გასწორება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა. საჭირო იყო მთელი რიგი ხელახალი ოპერაციები. ივანემ წამოაყენა რაციონალიზატორული წინადადება, რაც მეტად ეფექტური და საგრძნობლად ეკონომიურია დროის თვალსაზრისით. ეს წინადადება ამჟამად დანერგვის პროცესშია და ბრიგადას გეგმის ზევით დღეში ერთი სიჩქარის კოლოფის აწყობის საშუალებას მისცემს.

ი. ადუაშვილი ამჟამად მანქანათსამშენებლო ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტია. სწავლას და შრომას კარგად უთავსებს ერთმანეთს.

ოქტომბრის სადღესასწაულო შრომითს ვახტზე მოპოვებული წარმატებებისათვის მისმა ბრიგადამ ნ. კალანდარაშვილის სახელობის ბრიგადის საპატიო წოდება მოიპოვა.

— ახალ წელს ახალი ენერგიით ვიშრომებთ — ამბობს ბრიგადის თავკაცი.

ი. ადუაშვილმა და მისი ბრიგადის წევრებმა ახალი ვალდებულება აიღეს: ხუთწლიანი გეგმა 1970 წლის 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ.

თ. კინწურაშვილი.

* * *

სურათზე: ა. ადუაშვილი.

გუშინდელი ფოტოდან



**ბათუმი (ტელეფონი). ბაღინეზი 40 ბენზინი ბალების ბალები — გაშენდა. ბენზინების ბალების კოლმეურნეობის ... ...

პატარა სოფელზე წერდა დიდი ლენინი

საკრაულა... მაიაკოვსკის რაიონის ყველაზე მაღალმთიანი და ყველაზე ლამაზი სოფელი...

ზემოდან აჭარა-იმერეთის მარადმწვანე ტყეებით დაბურული მთები გადმოჭყურებენ ამ სოფელს, ქვემოთ კი კამკამა მთის მდინარე საკრაულა მოშხუილს.

არც ისე დიდი ხნის წინათ ამ სოფელს კიკნაველეთი ერქვა.

ეს იმიტომ, რომ სოფლის მკვიდრთა ოთხმოცდა პროცენტზე მეტს ახლაც კიკნაველიძის გვარი შეადგენს.

ვისაც არ უნდა ჰკითხო ამ სოფლის ისტორიაზე, ყველა ერთნაირად გიპასუხებს:

— ჩვენ წინათ კიკნაძეები ვყოფილვართ ზემო იმერეთიდან. ბატონს გამოქცევიან ჩვენი წინაპრები, აქ შეუფარებიათ თავი, გვარიც გამოუცვლიათ, კიკნაველიძე დაერქმევიათ, უსახელო სოფლისათვის კი — კიკნაველეთი.

მთას განდგომიან და მაინც მთას შეგდებენ. მთას კი არა, უფრო სწორად, სიღარიბეს განდგომიან გლეხკაცები, ეგენ ახალ ადგილზე ასლებურად დატრიალდეს ჩვენი ბედიო.

მაგრამ რაც დატოვეს ზემო იმერეთში, ის დაუბედათ ქვემო იმერეთშიც.

აქაც მიწის სიმცირე და სიმწარე, ხიდატკეკ და ბედუკუღმართობა. მერე ამას დაემატა ცარიზმის საგადასახლებო პოლიტიკა, როცა მიწების საკოლონიზაციო ფონდის შესაქმნელად კავკასიელ გლეხთა მიწების ექსპროპრიაციას აწყობდნენ და ადგილობრივ მკვიდრთა მთელ სოფლებს მამაპაპისეული ადგილებიდან ერეკებოდნენ.

ოუმცა კიკნაველეთის მკვიდრთ მცირემიწიანობა და უმიწაწყლობა სტანჯავდა, მეფის მთავრობა ამ მცირე ადგილმამულსაც ართმევდა.

ვ. ი. ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა ასეთ პოლიტიკას სტატიაში „გადასახლების საკითხი", რომელიც 1912 წლის 8 ივნისს გაზეთ „ნევსკაია ზვეზდაში" გამოქვეყნდა. მიწის ექსპროპრიაციას, კავკასიელ გლეხთა აოტანელ მდგომარეობას რომ ახასიათებდა, ვ. ი. ლენინმა მაგალითად მოიყვანა მაშინდელი ქუთაისის მაზრის სოფელი კიკნაველეთი.

დიახ, თითქმის ამ ორმოცდათექვსმეტი წლის წინათ მთის პატარა ქართულ სოფელზე, მის მკვიდრთა მძიმე მდგომარეობაზე წერდა დიდი ლენინი.

არქივებს ჰქონდა როდია საჭირო იმისათვის, რომ ჩვენს თაობას წარმოვუდგინოთ მაშინდელი კიკნაველეთი, დღეგრძელები, რომლებითაც ახე მდიდარია ეს პატარა სოფელი, თვითონვე გვიამბობენ სოფლის წარსულზე.

— ხალხს ღადარი უცივდებოდა კერიაზე. შიშველი და სახადი ავლებდა მუსარს. იმ წყეულ დროს სოფელი კი არ იზრდებოდა, პირიქით, კიდევ უფრო მცირდებოდა, უკაცრიელდებოდა, — გვიამბობს ამ სოფლის ყველაზე უხუცესი მკვიდრი, 103 წლის კარპეზ კიკნაველიძე:

— მართალია, კარპეზის ხნისა არა ვარ, მაგრამ გუშინდელ დღესავით მახსოვს, სოფელში სამად-სამი კრამიტიანი სახლი რომ იდგა. დანარჩენები ისლით დახურულ ქოხებში პირუტყვთან ერთად ვცხოვრობდით. თუკი იმასაც ცხოვრება ერქვა — დაუმატა ძველმა ბოლშევიკმა, სოციალისტური შრომის გმირმა ზალვა ჭუმბურიძემ და განაგრძო:

— მთელ სოფელში მხოლოდ ერთმა კაცმა — ივანე კიკნაველიძემ იცოდა წერა-კითხვა. იგი იყო „თხოვნის" დამწერიც და წერილების წამკითხავიც, ახალი ამბების მომტანიც.

ასეთი იყო მოკლედ კიკნაველეთის, ყველა მაშინდელი სოფლის წარსული.

ახლა კი...

სადღა ძველი კიკნაველეთი. სოფელმა სახელიც გამოიცვალა და სახეც.

ახლა კიკნაველეთს პატარა მდინარის სახელს — საკრაულას ეძახიან, ხოლო მისი მიწები, რომლებსაც ხან მემამულეები, ხან თვით მეფის მთავრობა იტაცებდა, უფასოდ და სამუდამო სარგებლობაში გადაეცა გლეხკაცობას. ისინი გახდნენ თავიანთი მიწის, თავიანთი ბედის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონები.

ერთ დროს გადაშენებისა და გაუკაცრიელების გზაზე მდგომი სოფელი საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოლონიერდა, გამრავლდა, წელში გაიმართა.

1930 წელს საკრაულაში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. თავდაპირველად მასში 28 კომლი გაერთიანდა. ახლა მთელი 300 კომლიანი სოფელი აშენებს ახალ ცხოვრებას.

საკრაულელებმა გაერთიანებული ძალით შეუტიეს მთის ფერდობებსაც და მდინარის ხეობასაც. ორივეს დამატებით გამოსტაცეს ხახნავ-სათესები, ბაღენახეები.

— ამ უკანასკნელ წლებში, — ამბობ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოთარ კიკნაველიძე. — სოფელს 80 ჰექტარი სათესი და 200 ჰექტარი ბაღენახე მიწა შეემატა. მიწის ფართობიც გავადიდეთ და მისი ბარაქაც.

1966 წელს კოლმეურნეობამ თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ 6 ცენტნერით მეტი სიმინდი და 15 ცენტნერით მეტი უურძენი მიიღო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ფერმებშიც მომრავლდა პირუტყვი, იმატა პროდუქტიულობამ. საიუბილეო წელს კი საკრაულელებმა უფრო დიდი წარმატებები მოიპოვეს. ვენახები საგულდაგულოდ დაამუშავეს, ექსკჯერ შაბიამნის ხსნარით შეწამლეს, ოთხჯერ გოგირდი შეაფრქვიეს. წინა წელთან შედარებით ჰექტარზე 10 ცენტნერით მეტი უურძენი მიიღეს.

მეცხოველეობის ფერმებში ახლა გეგმით გათვალისწინებული 400 სულის ნაცვლად 530 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ. ღორების სულადობა გათვალისწინებულზე ორჯერ მეტია, ხოლო წველადობის 1967 წლის გეგმა რვა თვეში გადამეტებით შეასრულეს.

კოლმეურნეობამ ვადამდე გაანაღდა საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. შვიდ თვეში შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა.

სოფლის ოჯრის ფონდია მახი შესანიშნავი ადამიანები, რომელთაგან ექვსი სოციალისტური შრომის გმირია. შარშან სოციალისტური შრომის გმირმა ზალვა თაბუკაშვილმა მიჩენილ ნაკვეთზე 28 ცენტნერის ნაცვლად 55 ცენტნერი უურძენი მიიღო, სოციალისტური შრომის გმირმა მესიმონდე ვალეკო ბახტაძემ 1,5 ჰექტარი ნაკვეთიდან გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი სიმინდი მიიღო.

გმირთა მაგალითს მიჰყვებიან ახელოვანი მევენახეები ვ. თაბუკაშვილი და გ. ჯოხაძე, მესიმონდეები შ. კიკნაველიძე და მ. კელენჯერიძე, კომუნისტი მწველავები მ. კუპრაძე და ბ. კვირკაშვილი, მეაბრეშუმეები ბ. კიკნაველიძე და თ. აბულაძე.

ძველ დროში აჭაურებს მეადიც არ ჰქონდათ საძღვრად. ახლა ბელლებიც ავსება და მარნებიც. კოლმეურნე მიხეილ კელენჯერიძემ შარშან პრემიის სახით 4 ტონაზე მეტი სიმინდი მიიღო. ასეთები კი თითებზე ჩამოსათვლელი როდია.

საკოლმეურნეო დოვლათის ზრდამ საშუალოდ დაასამარა სიღატაკე, მოხპო მიწური ქოხმახები და ყველა ოჯახს შეძლებული ცხოვრება დაუმკვიდრა. მარტო ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ორმოცზე მეტმა ოჯახმა აიშენა ახალი სახლი. მთელი სოფელი ილიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული. აქაც, ერთ დროს მიუვალ და მიყრუებულ სოფელში ცისფერმა ეკრანმა შეაღწია.

სოფელს აშენებენს კოლმეურნეობის კლუბისა და კინტორის ორსართულიანი შენობა. აქვეა საშუალო და დაწყებითი სკოლები, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი, სამი ბიბლიოთეკა, საექიმო უბანი, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფი, სოფელში ორი ათასი წერტილ სიმძლავრის რადიოკვანძი მუშაობს, აქვთ სასოფლო ტელეფონის სადგური. ბევრ კოლმეურნეს ბინაში ტელეფონი უდგას.

ოქტომბრის მადლმა ააღორძინა ძველი კიკნაველეთი და ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად აღსდგა დიდი სამამულო ომის დროს მთელი სოფელი. ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ფრონტზე წავიდა. ამ პატარა სოფლის 322 მკვიდრი იხდიდა მხედრულ ვალს. მათგან 225 შინ არ დაბრუნებულა.

— სამშობლოს საკურთხეველზე აღბათ არც ერთ სოფელს არ ექნება მიტანილი ასე დიდი მსხვერპლი, — სიამაყით შენიშნავს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბეჟან კიკნაველიძე.

და მაინც სოფელი ფეხზე დადგა, ხალხი მომრავლდა. ომგადახდილმა ვაუკაცმა დავით კიკნაველიძემ დაღუპულ თანასოფლელთა ხარკი ამით გადაიხადა, ათ შვილს უზრდის სამშობლოს. საკრაულაში სამი გმირი დედაა. გოგუცა კელენჯერიძეს 12 შვილი ჰყავს, გოგუცა კიკნაველიძეს — 11, ოლია კუპრაძეს — 10, ხოლო ცხრა-ცხრა შვილის დედები არიან ვერა კიკნაველიძე და მარო კუპრაძე.

ახლო მომავალში საკრაულა კიდევ უფრო დამშვენდება. სულ მალე აქ საშუალო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა წამოიშენება, კეთილშოფწყობა გზები, გაშენდება ხკვერი, სასპორტო მოედანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონები.

შორს გაიტანა დიდმა ლენინმა ამ პატარა სოფლის სახელი, რომლის მკვიდრნი ლენინის გენიას, დიდ ოქტომბერს უმადლიან ყველა თავის სიკეთეს და წარმატებას.

ამ სოფლის მთელი ცხოვრება ლენინის იდეების ხორცშესხმა, მისი ცოცხალი განსახიერებაა.

და რადგან სამბოლოდ ია ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავზე ამ სოფელში, რომელზეც წერდა დიდი ლენინი, ადამართა მისივე ძეგელი.

შ. ჯაბახაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

„სკოლა და ცხოვრება" № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის მარადსამახსოვრო საჩუქარი; გამოქვეყნებულია სტატიები: თ. ლაშქარაშვილი — მოზარდი თაობის ყოველმხრივი განვითარების ინტერესებისათვის; ლ. მაღლაფერიძე — განათლების მუშაკთა პროფკავშირის სახელოვანი გზა; რ. დვალი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია — მსოფლიო მეცნიერების მოწინავე პოზიციებზე; ა. ნადაშვილი — მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით; გ. ხოხლენკო — უფროსს თაობათა დიადი რევოლუციური ტრადიციებით; ა. ლოლუა — — მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის; ლ. მარგოშვილი — ოქტომბრის შუქი ბანკისის ხეობაში. ვ. ქაჯაია — აღ. წულუკიძე და პედაგოგიკის საკითხები; ბ. ბეშელაური — ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ" სასწავლო პროგრამების სრულყოფისათვის ბრძოლაში და სხვ.

საერთაშორისო ცხოვრება

სამეცნიერო წელი

სოფია, 1 იანვარი. (საკდესი). გასული წელი სამახსოვრო იქნება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ისტორიაში, განაცხადა საახალწლო მისალმებაში ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ტრაიკოვმა. სოფიაში ხელი მოაწერეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას, რომელშიც ასახა ჩვენი ხალხის სანუკვარი გრძნობები და მისწრაფებანი და რომელიც წარმართავს ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობის და შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. იგი მიზნად ისახავს ჩვენი ძმური ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განხორციელების ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენს.

ბედნიერი ვართ, თქვა გ. ტრაიკოვმა, რომ ჩვენი სამშობლო დიადი სოციალისტური თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილია, რომ იგი ურყევად დგას იმ ძალების მხარეზე, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის, ყველა ხალხის ეშმარიტ ბედნიერებისათვის. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და მისი მთავრობა აქტიურად უწყობენ ხელს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთობისა და ძლიერების განმტკიცებას, ამასთან ღრმად სწამს, რომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული მშვიდობის შენარჩუნება, კაცობრიობის პროგრესი და მომავალი.

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა

ბრაღა, 1 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის შემდგომი სოციალისტური განვითარება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მთელ ჩვენს საგარეო პოლიტიკურ კონცეფციას, რომლის მიზანია კვლავაც ვაღრმავებდეთ და ვაფართოებდეთ მეგობრობას, კავშირსა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მათთან ერთად ვწყვეტდეთ სოციალიზმის პრობლემებს, ერთმანეთს ვუზიარებდეთ გამოცდილებას, ერთმანეთისაგან ვსწავლობდეთ და ამით ხელს ვუწყობდეთ სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის საერთო წარმატებებს, იმ ახალი სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების წარმატებებს, რომელიც იქმნება მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულ საფუძვლებზე.

ეს განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ, რომელმაც დღეს საახალწლო სტატუა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიით.

ჩვენ ვახორციელებთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელსაც საფუძველად უდევს მშვიდობისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების პრინციპები, ხალხთა მეგობრობა, ყოველივე პროგრესულის მხარდაჭერა, მეცადინეობა, რომლის მიზანია სოციალიზმის ძალების ზრდის უზრუნველყოფა, თქვა მან. მაგრამ, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას ვახორციელებთ, უსიტყვოდ

ა. ნოვოტნის საახალწლო სიტყვა

როდი ვაღიარებენ თავალყურს ომს, რასაც იმპერიალისტური დიდი სახელმწიფოები სჩადიან კაცობრიობის ინტერესების წინააღმდეგ. ბატარა ხალხების წინააღმდეგ. მშვიდობიანი თანაარსებობა როდი მიგვაჩნია ბურუუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიების შერიგებად, ამიტომ მოგავალშიც ვაწარმოებთ აშკარა იდეურ ბრძოლას და გვსურს ამასთან ერთად ყველა დარგში მოპოვებული მიღწევებით დავამტკიცოთ სოციალიზმის უპირატესობანი.

შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიურ მდგომარეობას, ორატორმა აღნიშნა, რომ 1967 წელს წარმატებით ვითარდებოდა სახალხო მეურნეობა.

ა. ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, ჩეხოსლოვაკიის განვითარებაში მშვიდობისა და სოციალიზმის გზით.

შემდგომი განვითარების გეგმების დახასიათებას, განაცხადა ა. ნოვოტნიმ, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე რესპუბლიკის თავდაცვის უზრუნველყოფა.

ჩვენ გადავიტანეთ ფაშისტური ოკუპაცია და გულგრილად ვერ მოვეკიდებით ამას, რომ უშუალოდ ჩვენს მეზობლად — დასავლეთ გერმანიაში კვლავ ისმის მილიტარისტული და რევანშისტული ხმები, სულ უფრო ვლინდება ნეონაცისტიზმი, რომლის პროგრამა არსებითად ისახავს ამავე მიზნებს, რა მიზნებიც ჰქონდა ჰიტლერულ ფაშისტურ პარტიას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც ახლა ძალიერი არმია ჰყავს, ისწრაფვის ხელთ იგდოს ატომური იარაღი. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს გვაწუხებს და ამიტომ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვა.

გასულ წელზე უკეთესი...

ვ. გომულკას სიტყვა

ვარშავა, 1 იანვარი. (საკდესი). ახალ წელს ნდობით და ოპტიმიზმით ვხვდებით. გვწამს, რომ იგი გაამართლებს ჩვენს იმედებს. დარწმუნებული ვართ, რომ ახალი წელი გასულ წელზე უკეთესი იქნება, განაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. გომულკამ საახალწლო დარბაზობაზე, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

1967 წელი, რომელიც უკვე ისტორიის ეკუთვნის, ჩვენი ქვეყნისათვის კეთილი იყო. გასულ წელს ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ — საახალხო პოლონეთმა ახალი ძალები მოიკრიბა, განმტკიცა პოზიცია ევროპასა და მსოფლიოში.

დღეს, როცა ახალ წელს ვიწყებთ, გვინდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამ ტრიბუნიდან გულითადად მივულოცოთ ყველა მშრომელს, რომლებმაც გასულ წელს თავიანთი შრომით და მეცადინეობით ხელი შეუწყვეს ჩვენი ქვეყნის წარმატებებს.

საახალწლო სურვილებს ვორის, რომელთა ახდომა ყველას მზურვალედ გვინდა და რომელთაც მთელ მსოფლიოში მთავარი ადგილი უკავიათ, არის სურვილი, რომ ახალმა წელმა თავიდან აგვაცილოს ომის საფრთხე, გვინდა განამტკიცოს ჩვენი სოციალისტური და ზოგადსაკაცობრიო მშვიდობის იდეა.

ომის ხანძარი კვლავ მძვინვარებს ვიეტნამში, ხოლო ამერიკის იმპერიალიზმი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ომისათვის, ემზადება ეს ხანძარი მთელ ინდოჩინეთში გაავრცელოს. ახლო აღმოსავლეთის კვლავ ემუქრება საფრთხე განახლდეს საომარი მოქმედება ისრაელის დამპყრობლური გეგმების გამო არაბული სახელმწიფოებისადმი. მშვიდობის ინტერესებს ეწინააღმდეგება ავრეთვე ბონის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპაში ტერიტორიული სტატუს-ქვოს ლიკვიდაციას.

ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ მთელ ჩვენს პოლიტიკაში.

დიე 1968 წელმა, თქვა გომულკამ, წარმატება და ბედნიერება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ბრძოლას მშვიდობისათვის, ჩვენს მეგობრებს და მოკავშირეებს, ხალხებს და სახელმწიფოებს, რომლებსაც სწადიათ მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ, თავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყნებს და ხალხებს.

ხურათზე: კუბის რესპუბლიკის დედაქალაქი ჰავანა.
ფოტო ა. სტუფინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიდი მიზანი

ულიიამ ტაბმენმა დაიკავა ლიბერიის პრეზიდენტის კოსტი

მონროვია, 2 იანვარი. (საკდესი). უილიამ ტაბმენმა, რომელიც გასული წლის მაისში მეექვსედ აირჩიეს ლიბერიის პრეზიდენტად ოთხი წლის ვადით, გუშინ ფიცი დადო. ამავე დროს დაიფიცეს ვიცე-პრეზიდენტი უილიამ ტოლბერტი, რომელიც მეხუთედ აირჩიეს ამ პოსტზე.

ტაბმენი ლიბერიის პრეზიდენტად პირველად აირჩიეს 1943 წლის მაისში. მას შემდეგ მას გამუდმებით აირჩევენ ამ პოსტზე.

ბუდაპეშტი

ბუდაპეშტი, 1 იანვარი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 1967 წელი იყო შრომის წელი, უფრო დიდი საქმეებისათვის მზადების წელი. უნგრელმა ხალხმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, განაცხადა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პალ ლომშოცმ, რომელმაც დღეს რადიოთი და ტელევიზიით ახალი წელი მიულოცა უნგრელ ხალხს. ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს, თქვა მან, და ახალ წელს უფრო მაღალ დონეზე ვიმუშავებთ. ჩვენ გვაქვს კარგი საფუძველი და შეგვიძლია კიდევ უფრო მივუახლოვდეთ დიად მიზანს — სოციალიზმის სრულ აშენებას.

გარდა ამისა, რომ ვახორციელებთ ჩვენს მოვალეობას სამშობლოში, ხაზი გაუსვა პალ ლომშოცმ, ჩვენს წინაშე დასახულია სხვა დიდი მიზანიც: კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მშვიდობისათვის და უფრო მჭიდროდ ვთანამშრომლოთ პროგრესის ძალებთან.

მშვიდობის სახელით

ბუქარესტი, 1 იანვარი. (საკდესი). რუმინელი ხალხისათვის 1967 წელი იყო დიდ გამარჯვებათა წელი სოციალისტური ცხოვრების ყველა დარგში, განაცხადა საახალწლო სიტყვაში რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჩაუშესკუმ.

დარწმუნებული ვართ, თქვა ნ. ჩაუშესკუმ, რომ ახალ წელს მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია, ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ენერგიასა და შემოქმედებითს ძალებს მოიხმარენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებლობის, მთელი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების შემდგომ გაუჯობესებას, ქვეყნის აყვავების, ჩვენი სოციალისტური ერის ბედნიერ მომავალს.

აღგავფრთოვანებს იმის რწმენა, თქვა ნ. ჩაუშესკუმ, რომ სოციალიზმის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ძალები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ იმპერიალიზმის, რეაქციის წინააღმდეგ, ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში.

ბერლინი

ბერლინი. იმ დროს, როცა გასული წლის უკანასკნელი საათები იწურებოდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდიოდა ცნობები ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კარგი საქმეების შესახებ. ვ. ულბრიხტის სახელობის „ლეინსა" ქიმიური კომბინატის ოცდაათათასიანმა კოლექტივმა შეასრულა წლიური გეგმა და 1967 წელს 7,5 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე წინა წელს. ვისმარის „მატიას-ტეზენ-ვერფტის" გემთსაშენის მუშებმა ახალი წლის წინ ხაბჭოთა კავშირისათვის დაამთავრეს სამეცნიერო-საკვლევი გემის „პროფესორ ზუბოვის" მშენებლობა. მათ შეასრულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება.

1967 წელს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ახალ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. შარშან ეროვნული შემოსავალი თითქმის 5 პროცენტით გაიზარდა 1966 წელთან შედარებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობამ შარშან 4 პროცენტით მეტი მახობრივი მოხმარების საქონელი და კვების პროდუქტები იყიდა, ვიდრე წინა წელს. (საკდესი).

სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების გამო

დიდი ბრიტანეთი არაბეთის სამხრეთიდან მიდის 129 წლის კოლონიური ბატონობის შემდეგ. ბრიტანეთის ლომს არაბი კუდზე აბამს მელიას, რომელიც განასახიერებს „გათიშეთ და ბატონობის" პოლიტიკას.

კარიკატურა ლიბანურ გაზეთ „აშ-შაბიდან". (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეგრესორები ეარღვევენ დაზავების პირობებს

ჯენევა, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის სახეფორმაციო სააგენტო იუწყება, გამოცხადებული საახალწლო დაზავების მიუხედავად, ამერიკის თვითმფრინავებმა 31 დეკემბერსა და 1 იანვარს რამდენჯერმე დააღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე კუანგბინის, ხატინის, ნგეანისა ნინბინის პროვინციებში და დაბომბეს თხანჰოისა და ნაბხის პროვინციების მშვიდოდ დასახლებული რაიონები.

ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის ნაწილებმა დღეს თხანჰოის პროვინციაში ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი.

დამატებითი მონაცემებით, ჩრდილოეთვიეტნამელმა მეზენიტეებმა 31 დეკემბერს კუანგბინის პროვინციაში ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი.

ლ. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 2 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ თავის რანჩოში ტეხასში გამართა პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციაზე შეეხო ზოგიერთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირება. ამ ღონისძიებათა შორის გათვალისწინებულია უცხო სახელმწიფოთათვის სესხის შემცირება, მთავრობის ხარჯებისა და ამერიკის კაპიტალდაბანდების შემცირება საზღვარგარეთ. პრეზიდენტმა მოუწოდა აგრეთვე ამერიკელებს, შეაკვეცონ ტურისტული მოგზაურობა დასავლეთ ნახევარსფეროს ფარგლებგარეთ.

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, — განაცხადა ჯონსონმა, — ძალიან ცდილობს არ დაიშურებს რათა შეინარჩუნოს დოლარის კურსი და წესრიგში ჰყოფდეს ქვეყნის ფინანსური მეურნეობა".

ბრეჟნევის მსხვერპლნი

ადანი, 1 იანვარს დღეით ისრაელებმა მათ მიერ ოკუპირებული მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე არაბ ლტოლვილთა ბანაკს საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს, რის შედეგადაც სამი კაცი დაიხოცა და ექვსი, მათ შორის ბავშვი დაიჭრა. (საკდესი).

პაკისტანში ყვავილის ეპიდემიაა

ყარაჩი, 2 იანვარი. (საკდესი). აღმოსავლეთ პაკისტანში შავი ყვავილის ეპიდემიამ იფეთქა: მარტო უკანასკნელ რვა თვეში ოფიციალური მონაცემებით დაავადების სამი ათასი შემთხვევა აღინიშნა. აქედან ყვავილმა ორი ათასი კაცი იმსხვერპლა.

4.500 მედიცინის მუშაკი განუწყვეტლივ აწარმოებს ყვავილსაწინააღმდეგო აცრებს. სულ აღმოსავლეთ პაკისტანში 1967 წელს ყვავილი აცრილ 25 მილიონ კაცს (მოსახლეობა 64 მილიონს შეადგენს). თუ 1958 წელს დაკაში ყვავილის ეპიდემიის დროს ყოველდღიურად 20-25 კაცი ავადდებოდა, ახლა სამუალოდ ოთხი-ხუთი კაცი თუ ავადდება.

ბრიტანეთში ეპიდემიაა ინგლისში

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). ინგლისსა და უელსში მძვინვარებს გრიპის ეპიდემია. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განცხადების თანახმად, გასული წლის 15-დან 22 დეკემბრამდე გრიპისა და ფილტვების ანთებისაგან დაიხოცა 101 კაცი.

სად როგორ ცვდებიან...

როცა მოზრძანდება წელი ახალი

„პირველი ფეხი"

31 დეკემბერს, იმ წამს, როცა საათი შუაღამის რეკვას დიწყებს, ვინმე გაეშურება კარისაკენ და ფარულად გაიღებს მას, „რომ რაც შეიძლება მალე გაუშვას ძველი წელი და შემოუშვას ახალი". ასეთია შოტლანდიაში არსებული ძველი ჩვეულება.

ამის შემდეგ, თავისთავად იგულისხმება, გაისმის სადღესასწაულო ჭიქების წკარუნი. შემდეგ დამსწრენი ერთმანეთს ხელი ხელს გადახვევენ, და იწყება სიმღერა „ოღდ ლენგ საინ" („მეგობრის ძველი ქვეყანა"). მაგრამ ეს ყველაფერი როდია. საუკუნეთა სიღრმიდან მოაღწია სხვადასხვა ჩვეულებამ, რომლებსაც, სერიოზულად თუ ხუმრობით, დღემდე მისდევენ შოტლანდიის ბევრ ადგილას. ერთი მათგანის თანახმად მეტად მნიშვნელოვანია — „პირველი" ვინ შემოგიდამს ფეხს დამდგარ წელს, ე. ი. ვინ იქნება მეკვლე. თუ შავგვრემანი-შემოვიდა, ეს კარგი ნიშანია. მწითური ან ქერა ცუდია: მათ ცუდი მოაქვთ. ოქროთმა დაგიფიროთ ქალის მოსვლისგან: ამას უბედურება მოაქვს...

რა თქმა უნდა, გონებამახვილმა შოტლანდიელებმა უკვე დიდიხანია მონახეს იმის საშუალება, რომ თავიდან აიცილონ ზედმეტი რისკი: ახალი წლის წინ ისინი ერთობენ შავგვრემანებს, რომლებიც ცდილობენ ყველგან მეკვლე იყოს. ჩვეულების თანახმად „პირველ ფეხს" თან მოაქვს ერთი ნახშირი, ადგეს ბანაცხლში და ამბობს: „დიდხანს ენთოს ეს კერა".

ისევ ჩვეულება არსებობს ფილიპინის კუნძულების სოფლებში. ოღონდ იქ „გადამწყვეტი" მნიშვნელობა აქვს პირველ ბგერას, რომელსაც ადამიანი ახალ წელს გაიგონებს. თუ ეს ძაღლის ყმუილია, უბედურებას ელოდე. ბოროხის ბოყალი, პირიქით, კარგი მოსავლის, საყოველთაოდ კმაყოფილების მაუწყებელია.

გოჭი კარგი ნიშანია

ავსტრიაში კარგ ნიშნად ითვლება 1 იანვარს დილით დაინახო, საკვამურის მწმენდავი რომ მუშაობს. კეთილი სიმბოლოებია აგრეთვე ღორი, სოკო, ნალი. ვენის ზარაფხანა 1936 წლიდან ყოველ წელიწადს უშვებს სპეციალურ მედალს. ახალი წელი ამ მედალზე გამოსახულია ჩვენი ბავშვის სახით, რომელიც გოჭზე შემჯდარა და მიაქანებს. შემწვარი გოჭი ან მისი თავი სასურველი კერძია ავსტრიელთა საახალწლო მენიუში. კიბობესა და კიბორჩხალებს კი ისინი არამც და არამც არ შეჭამენ ახალი წლის წინაღამეს. რატომ? ეს არსებანი, როგორც ცნობილია, თუ მოძრაობენ, უკანუკან მიდიან. ისინი თუ შეჭამე, მთელ წელიწადს „წინ ვერ წახვალ".

თურქეთში ასეთი ჩვეულებაა. 31 დეკემბერს ზუსტად შუაღამისას ცოტა ხნით აქრობენ სინათლეს. სიბნელეში მხიარული ფუსფუსი იწყება: დამსწრენი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ცდილობენ აკოცონ გვერდით მდგომ ქალებს. შუქი კვლავ რომ აინთება, კოცნისაგან ლოყებდაწითლებული დამსწრენი მიუსხდებიან სადღეს

თბილისი ახალწლის ღამეს



სიხარულით, მხიარულად შეეგებნენ ახალ წელს თბილისელები. გვიან საღამოს, როცა დიდ ქალაქში ათასობით ჩირაღდანი აენთო, ხოლო ცის კაბადონზე მილიონობით ვარსკვლავი აციმციმდა, ადამიანები საახალწლო სუფრას მიუსხდნენ. კულტურის სახლებში, რესტორნებსა და კაფეებში ბევრი თბილისელი კოლექტიურად შეხვდა ახალ წელს. ტრადიციის მიხედვით კი ბევრნი ახალ წელს ოჯახებში შეხვდნენ. მრავალ სახლში აელვარდა საახალწლო ხელოვნური ნაძვისხეები. ოჯახურ წრეში კეთილად მოიხსენიეს გასული წელი, ასწიეს ჭიქა ახალი წლის, დედამიწაზე ყველა ადამიანის ბედნიერების სადღეგრძელოდ.

ეს ფოტოსურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა გადაიღო სასტუმრო „ივერიის“ ერთ-ერთი აივნიდან. განსაკუთრებით ლამაზი იყო ჩვენი დედაქალაქი ახალი წლის ღამეს. ძნელი იყო თვალი მოგეცილებინა ამ ზღვა შუქისათვის.

„გაუმარჯოს მშვიდობას“, „გაუმარჯოს ნათელ მომავალს“ — ამბობდა ყველა და ადამიანებს სჯერათ, რომ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე იქნება მშვიდობიანი და ბედნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა მოცეკვავეებმა მოხიბლეს იტალია

გიორგი ახათიანი,
ხსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ქართული ხალხური ცეკვის სახელგანთქმულმა ანსამბლმა, რომლის ხელმძღვანელები არიან ხსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, გასტროლები იტალიაში დაიწყო ნეაპოლით.

ნეაპოლის, მისი კვარტალების, ეკლესიების, მოედნების ნახვა ყოველთვის ღრმად აღელვებს ადამიანს, როგორც შეხვედრა მეტად ძვირფას, საყვარელ ადამიანთან. ლამაზი სანაპიროა ნეაპოლის ყურე, ამიტომაც დამცხრალი ვულკანი, ზღვისაკენ მიქცეულ მთის ფერდობზე ამავალი ქიჩები.

ჩვენ ჯერ კიდევ რომში გაგვაფრთხილეს, ნეაპოლში გიგიჭირდებათ გამოსვლა, რადგან იქ ხალხი განებივრებულია ყველა რანგის განთქმულ მსახიობთა გამოსვლებითო.

მაგრამ ქართველმა მოცეკვავეებმა აუღელვებლად დაიწყეს კონცერტი სამეფო თეატრ სან-კარლოს გაჯეიდილ დარბაზში. უკვე პირველმა ცეკვამ „ფარცამ“ წინასწარ განსაზღვრა წარმატება. ხოლო კონცერტის ბოლოს „ვაჟკაცურმა, მარჯვე ვაჟებმა და ღვთაებრივმა ქალიშვილებმა“, როგორც მათ ადგილობრივმა პრესამ დაარქვა, მოხიბლეს მგზნებარე ნეაპოლელები.

დიდმა წარმატებამ, რაც ქართველ მოცეკვავეებს ნეაპოლში ჰქონდათ, უზარმაზარეყო მათი ბრწყინვალე მიღება ქალაქებში პრატოსა, გენუასა და ტრიესტში, სადაც კონცერტები უცვლელი ტრიუმფით მიმდინარეობდა. მაგრამ აი კვლავ ავტობუსში ვსხედვართ და მიქრით ოთხკილომეტრიანი ხიდით, რომელიც ვენეციას კონტინენტთან აერთებს. გარშემო ვერცხლისფრად ლივლივებს ლაგუნა, ხოლო წინ, თითქოს წყლის ცისფერი სარკედან ამოვიდაო, გამოჩნდება ქალაქის შორეული ნათელი სილუეტი. უნებლიეთ გაიფიქრებ, მართლა თუ არსებობს ეს ქალაქი, რომელსაც ეროთემ ოდესღაც „პარის, წყლის, მიწისა და ცისაგან მოქსოვილი ოცნება“ უწოდა.

ვენეციელებმა ქართველი მოცეკვავეები თავიანთ საუცხოო თეატრ „ფენიჩიში“ მეტად გულთბილად მიიღეს. ხუთიოდე კონცერტს უდიდესი წარმატება ჰქონდა..

ჩვენ უკვე მილანში, ტაძრის მოედანზე ვართ. რეკლამების ნეონის ნათურები, ვიტრინების ლაპლაპი, ავტომობილების ქროლვა, უამრავ ადამიანთა განუწყვეტელი ნაკადი თანამედროვე მოძრაობისათვის მეტად ვიწრო გზაჯვარედინებზე. ტაძრის მოედანი. აქ ყველაზე შესანიშნავია მილანის ტაძარი — გოთიკური არქიტექტურის უდიდესი ქმნილება იტალიაში, ერთადერთი მარმარილოს ტაძარი ევროპაში.

ვიწრო კიბეებით ავდივართ ტაძრის სახურავზე, ვათვალიერებთ ურიცხვ კოშკებს, ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით არქიტექტურული ანსამბლების საოცარ სიმშვენიერეს. მაგრამ აი უცებ დავინახეთ დაბალი, გარეგნულად უბრალო, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი შენობა თეატრ ლა-სკალისი. ყველა ღელავს, დაწყებული ანსამბლის ხელმძღვანელით და დამთავრებული ახალგაზრდა მოცეკვავეებით.

საღამოს სამოცდახუთი ქართველი ლა-სკალას სცენაზე გამოვა, რომ ჩააბაროს გამოცდა უმაღლეს მსოფლიო პროფესიულ ოსტატობაზე. შეძლებენ თუ ვერა ჩვენი მოცეკვავეები ამ გამოცდის ჩაბარებას? მაგონდება თეატრალური კრიტიკოსის დიეგო ჯამინიანოს სიტყვები „სჯობს სულაც არა სცადოთ გამოცდის ჩაბარება მსოფლიო სახელის მოსპეციალად, ვიდრე გამოწვეოთ ლა-სკალას მაყურებელთა დარბაზის შუდმივი სტუმრების უკმაყოფილება. ეს სახელის დასასრული იქნება“. და აქვე გაისმა ილიკო სუხიშვილის შშვიდი პასუხი: „ეროვნული ბოლო ცეკვა „შეჯიბრი“ რომ დამთავრდება, ლა-სკალას ფარდა ათჯერ აიხდება და დაეშვება“. „არა, ეს ფანტასტიკურია, ასეთი რამ თითქმის არ ყოფილა

ახლ კაცად გამოადგა ჩვენს უფროსს ცხვირის აბზუება?
ნახატი მ. ნბაშიძისა.



ულიტყვოდ.
ნახატი ლ. ხიხარულიძისა.

მხატვრის უწყინარი ღიმილი

ლა-სკალაში“! — ცხარობს დიეგო. — თქვენ არ იცნობთ ლა-სკალას, მის მაყურებლებს, ისინი ძალიან მომთხოვნი არიან და შეცდომას არავის აპატიებენ! უკანასკნელ ხანს ყველაზე დიდი წარმატება ხვდა ცნობილ ბულგარელ ბანს გიაეროვს, მაგრამ ამასაც ფარდა მხოლოდ 5-6-ჯერ აუხადეს.

...უკანასკნელი წუთებია კონცერტის დაწყების წინ. ჩვენი იტალიელი იმპრესარიო სენორო პორიელი ნერვიულად სცემს ბოლთას სცენაზე, თან ქმაყოფილებით იფშვნეტს ხელებს —ეს არის სალაროდან შეატყობინეს დამატებით 500 შესასვლელი ბილეთი გაყიდეთო.

...ფარდა აიხადა... გამოცდა დაიწყო! ყოველ ცეკვასთან ერთად სულ უფრო საგრძნობი ხდება წარმატება. ცეკვა „ფარცაში“ მოცეკვავეები აჩვენებენ ნატიფ შეწყობას — რიტმის ბრწყინვალე გრძნობას. მაყურებლები ხშირად აჯილდოებენ მოცეკვავეებს მქუხარე ტაშით. ხელსურულ ცეკვაში ხმლებით ბრძოლისას მოწოლების გუგუნი ისმის. ტაში, შეძახილები ზოგჯერ ორკესტრის ხმას აყრუებენ.

სრულ სიხუმრეში, როცა დარბაზს თითქოს სუნთქვა შეეკრაო, ქალიშვილები ასრულებენ თავიანთ ჯადოსნურ ცეკვას „ნარნარას“. ნინო რამიშვილმა ცეკვა „ჭეერანში“ მოაჯადოვა მაყურებელთა დარბაზი, მილანელები ტაშს უკრავენ მისი ხელების გასაოცარ მოძრაობას. ცეკვა „ქართული“ ბრწყინვალედ შეასრულეს ფრიდონ სოლაბერიძემ და ლატავრა ფოჩიანმა. რაოდენი სინარნარე და



„ბემოვნებით არის მორთული მეტასტაზიო, ფერთა ხილამაზე თვალს სჭრის მაყურებელს. დიდი გამოცოცხლებაა. სცენა ეთმობა ბრწყინვალე ხანახობას — დღეს ჩვენთან სტუმრად ქართველი მოცეკვავეები არიან. ფარდის ახდამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ დარბაზი გაჭედილია ხალხით.

...მოულოდნელად იხსნება ფარდა. გამოდიან მოცეკვავე წყვილები. შემდეგ მამაკაცები თავბრუდამხვევი სიხშირეთი ტრიალებენ სცენაზე, ომახიანი შეძახილებით ჰაერში ხტებიან, მუხლის თავებზე ტრიალებენ. ყველაფერი ჰარმონიულად ერწყმება მუსიკას და მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაყურებელი მქუხარე ტაშით ხვდება სცენაზე დადგმულ ყოველ ზღაპრულ სურათს. ქართული ფოლკლორი სიცოცხლითა და ხიბარულით ავსებს ამ განსაცვიფრებელ სპექტაკლს.

ქართველი მსახიობები თავიანთ ტრიუმფალურ გამოსვლას იწყებენ მახობრივი ცეკვით, რომელშიც მთელი ანსამბლი მონაწილეობს. ცეკვის ილეთები გამოირჩევა თავისი დახვეწილობით, ხიუეტის სრულყოფით. იგრძნობა ფანტაზიის სიმდიდრე, გამომსახველობის სიძლიერე და უნაკლო პოტურობა. ასეთია, მაგალითად, ცეკვა „ქართული“, რომელშიც გამოხატულია ქართველების რაინდობა და მოწიწება ქალისადმი.

მომხიბვლელმა ქართველმა ქალიშვილებმა და ენერგიულმა ვაჟებმა მეტასტაზიოს სცენაზე მოიტანეს თავიანთი ტრადიციები, ორიგინალური გამომსახველობის მანერა, რაც ერთად აღებული ქმნის მომაჯადოებელ სანახაობას. ანსამბლის წევრები ჭეშმარიტი მსახიობები არიან და განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ მაყურებელზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია ცეკვებმა „ყაზბეგურმა“, „ქართულმა სიუიტამ“ და „სამაიამ“. ეს უკანასკნელი ქალთა ცეკვაა, რომელსაც გასაოცარი სინარნარითა და სინატიფით ახრულებს სამი ქალიშვილი.

საერთოდ, ქართველების მიერ მეტასტაზიოს სცენაზე ნაჩვენები მაღალი ხელოვნება უეჭველად ნაყოფია ანსამბლის მტკიცე დისციპლინისა, რასაც მოითხოვს თვითეული ცეკვის ნახაზი, რომელშიც შერწყმულია მოძრაობათა სიზუსტე, უნაკლო ერთიანი სტილი, სიმსუბუქე და სიმარჯვე“. (გაზეთი „ლა ნაციონეე“).

„ფენიჩეს თეატრმა არც წელს უოლატა თავის ტრადიციას და მიმდინარე წლის თეატრალური სეზონი გახსნა ფოლკლორული სანახაობით, რაც ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობს მაყურებლებში. ამჯერად ლაპარაკი



სიმსუბუქეა ამ წყვილის ყოველ მოძრაობაში, და მაყურებელთა დარბაზში ღირსეულად შეიფასა მათი ოსტატობა.

პირველი განყოფილების წარმატება განატკიცა ცეკვა „მხედრულმა“, რომელშიც ჩვენმა მოცეკვავეებმა დახელოვნების მწვერვალს მიაღწიეს. ზუსტი მოძრაობით, ყოველი მობრუნებით და ხმლის ყოველი მოქნევით ისინი აჩვენებენ მამაცობას, სიკისკისს, ცეკვის მაღალ კლასს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოლისტებმა ომარ მხეიძემ, დათო ბასილაშვილმა, თენგიზ სუხიშვილმა, მილენ ცირეკიძემ, შოთა ხოფერიამ, ჯუმბერ ბერაძემ. მათმა სწრაფმა მოძრაობამ, სამჯერ შემოტრიალებამ ჰაერში, ელვისებრმა ცეკვამ ფეხის წვერებზე, გიგანტურმა ნახტომებმა მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია.

მეორე განყოფილებაში ეკლესიანსიური მილანელები თავს ვეღარ იკავებენ — ისმის განუწყვეტელი შეძახილები, ხმაური, ფეხების ბრაგუნი, ტაში. ჩვენმა მოცეკვავეებმა მთლიანად მოაჯადოეს დარბაზი. მათ ორჯერ შეასრულებინეს ცეკვა „შეჯიბრის“ დასკვნითი ნაწილი, და როცა უკანასკნელად, მესამედ დაიჭირეს ფეხის წვერებზე თენგიზ სუხიშვილმა, ჯამი გარუნავამ, თამაზ კიკალეიშვილმა, ხოლო მუხლებზე — ჯუმბერ ბერაძემ, — ს